ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№21

(კონსოლიდირებული ტენდერი CON190000706)

ქ. თბილისი **იანვარი 2021 წელი**

ერთი მხრივ, საქართველოს უზენაესი სასამართლო (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი მენეჯერის აკაკი მაისურაძის სახით და მეორე მხრივ სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გიორგობიანის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ კონსოლიდირებული ტენდერის CON190000706, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, აგრეთვე „2020 წლის განმავლობაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე “საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4დეკემბრის №2513 განკარგულების, ასევე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტიობიექტი

1.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დანართით (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი№) განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის ტექნიკური მომსახურება (CPV-50100000) სახელმწიფო შესყიდვა, რომელიც აკმაყოფილებს კონსოლიდირებული ტენდერის (CON190000706) სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

1.2. შესყიდვის ობიექტია სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება.
1.3. ავტომანქანების სია მოცემულია დანართ N1-ში.

2.ხელშეკრულებისსაერთოღირებულება
2.1. ხელშეკრულების ღირებულებაა 13 000,00 (ცამეტი ათასი) ლარი.
2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი მოსაკრებელი და გადასახადი.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი, გარანტია, მიწოდების ვადები და ადგილი
3.1.საგარანტიო პერიოდში ტექ-მომსახურების გაწევისას გამოყენებული სათადარიგო ნაწილები/საცხებ - საპოხი მასალები უნდა იყოს ახალი (ექსპლუატაციაში არმყოფი და რეკომენდირებული ავტომანქანის მწარმოებლი სმიერ, ორიგინალი).
3.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად (დანართიN2-ის შესაბამისად) ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
3.3.ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ადგილ(ებ)ია: საქართველოს ტერიტორია. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ.
3.4მიმწოდებელი ვალდებულია უსასყიდლოდ განახორციელოს დადგენილი ფლობის ფარგლებში იმ კომპონენტების შეცვლა ან/და მომსახურება, რომელიც არ იქნება გათვალისწინებული ფლობის

ღირებულებაში. გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი);

3.5 100 ათას კილომეტრზე ფლობის ღირებულების ფარგლებში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს ხუნდები, საჭიროების შემთხვევაში, წინა სულმცირე ხუთჯერ,ხოლო უკანა სულმცირე სამჯერ.

3.6 3.5 პუნქტით განსაზღვრული ოდენობის ამოწურვის შემდგომ, ხუნდების ყოველი შემდგომი შესყიდვა ანაზღაურებული იქნება შემსყიდველის მიერ არა დადგენილი ფლობის ღირებულების ფარგლებიდან, არამედ ავტოტექმომსახურების დამატებით გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით.

4.შესყიდვისობიექტისმიღება ჩაბარებისწესი

4.1შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

4.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. ქვეპუნქტში აღნიშნული შესყიდვის ობიექტის მიწოდების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები საქართველოს უზენაესი სასამართლოს საფინანსო სამეურნეო განყოფილების უფროსი ნოდარ გვადიბაძე და ამავე განყოფილების უფროსი კონსულტანტი გაბრიელ კლდეისელი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან -სს ჰიუნდაი ავტო საქართველოს უფლებამოსილი თანამშრომელი.

5.ანგარიშსწორების პირობები

5.1.ანგარიშსწორება განხორციელდებ აუნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

5.2.ანგარიშსწორების განხორციელებისათვის აუცილებელია 4.1 ქვეპუნქტში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტი და სასაქონლო ზედნადები, ხოლო საგადასახადო ანგარიშფაქტურა შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში.

5.3.ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდებ აფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების 5.2. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 10(ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5.4. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საგარანტიო სერვისით გათვალისწინებული საქონლის ფასი შეიძლება დაკონვერტირდეს გამოცხადების დღით ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით აშშ დოლარში, ხოლო ანგარიშსწორებისას ეროვნულ ვალუტაში საქონლის ფაქტიური მიწოდების დღის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით;

5.4.1. ზემოხსენებულ ტენდერში, საგარანტიო პირობების (შესაბამისი დანართის) უზრუნველყოფის მიზნით და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N 121 დადგენილების დებულებების გათვალისწინებით, მიმწოდებელი უფლებამოსილია მოახდინოს ცხრილი N1-ში ლარებში მოცემული ფასების აშშ დოლარში კონვენტირება, ტენდერის გამოცხადების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად; ხოლო შემსყიდველთან ანგარიშსწორებისას კი ეროვნულ ვალუტაში საქონლის ფაქტობრივი მიწოდების დღის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

5.5.დაფინანსების წყარო: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

6.მხარეთავალდებულებებიდაუფლებები

6.1.შემსყიდველი ვალდებულია:

ა)მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ)უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

6.2.შემსყიდველ სუფლება აქვს:
ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებასთან;
6.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით, დანართით და შესყიდვის ელ.პროცედურით (CON190000706) გათვალისწინებული ყველა პირობა;
ბ) ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ საგარანტიო მომსახურების პერიოდში აღმოჩენილი ნაკლი ან დეფექტი გამოასწოროს 1(ერთი) სამუშაო დღის ვადაში.
გ)ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებეთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ; ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია მხარეები შეთანხმდნენ შემსრულებლისათვის დამატებითი გონივრული ვადის განსაზღვრის თაობაზე.
6.4.უზრუნველყოს გეგმიური (დანართი N2) მომსახურების ჩატარება დანართი განსაზღვრულ ვადაში.

6.5.მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას.
7.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტის ოდენობით.
7.2.კონტროლისას აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის გამოსწორებისათვის ან/და შეცვლისათვის მიმწოდებელმა თუ გადააცილა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულების ვადას, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0,5 პროცენტის ოდენობით.
7.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევისას, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული შესყიდვის ობიექტის 0,5 პროცენტისო დენობით.

8.ხელშეკრულების მოქმედების ვადა.
8.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ორმხრივად ხელისმოწერის დღიდან 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

9.ხელშეკრულებისპირობებისგადასინჯვისშესაძლებლობა.
9.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)
10.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით,როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, ეპიდემია, კარანტინი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სამომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
10.2.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში წინამდებარ ეხელშეკრულების მხარემ,

რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

10.3.თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.4.ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა და დასტურებულ უნდა იყოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

11.ხელშეკრულების კონტროლის პირობები.

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი, შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად.

11.2. კონტროლის აქტში მითითებული უნდა იყოს აღმოჩენილი დეფექტი ან ნაკლი.

11.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, ხილვადი დეფექტის ან/და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით ან/და სატელეფონო კავშირით შეატყობინოს მიმწოდებელს აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს მისი აღმოფხვრა ან შეცვლა თავისი ხარჯით.

11.4. კონტროლის აქტის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება მოწოდებული საქონლის ექსპერტიზა. იმ შემთხვევაში თუ ექსპერტიზა დაადგენს, რომ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პარამეტრებსა და მოთხოვნებს, ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს მიმწოდებელი, ხოლო შესაბამისობის შემთხვევაში - ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს შემსყიდველი.

11.5. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

11.6. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფინანსების მართვისა და ლოჯისტიკის ცენტრის უფროსი კონსულტანტი გაბრიელ კლდეისელი.

12.ხელშეკრულების შეწყვეტა, ცვლილების შეტანა.

12.1.მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (საქონლის მიწოდების ვადის 15-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილება) ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

12.2.შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება:

12.2.1.მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

12.2.2.ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე;

12.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

12.4თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
12.5.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

13.დავები და მათი გადაწყვეტის წესი.
13.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.სხვა პირობები
14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირსთავის უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3.მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.მხარეთა რეკვიზიტები.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი
საქართველოს უზენაესი სასამართლო	სს ჰიუნდაი ავტო საქართველო
ქ.თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების N6	მის: დ.აღმაშენებლის ხეივანიმე 12 კმ
ტელეფონი: 299 09 62	ტელეფონი:+99591484484
საიდენტიფიკაციო კოდი 203 860 508	საიდენტიფიკაცი ოკოდი204478948
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს ,,თი ბი სი ბანკი"
კოდი TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა NGE24NB0330100200165022	ა/ა № GE96TB0600000360200182
საქართველოს უზენაესი სასამართლოს მენეჯერი	სს ჰიუნდაი ავტო საქართველო დირექტორი
აკაკი მაისურაძე	დავით ბეჟრეობიანი

Akaki Maisuradze
Digitally signed by Akaki Maisuradze
Date: 2021.01.26 12:18:41 +04'00'

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2021.01.23 13:46:10 +04'00'

დანართი N1

ავტომანქანა	სახ. ნომერი	გამოშვების წელი
HYUNDAI IONIQ HYBRID	OO818FO	2020
HYUNDAI IONIQ HYBRID	OO838FO	2020
HYUNDAI IONIQ HYBRID	OO797FO	2020
HYUNDAI IONIQ HYBRID	OO737FO	2020
HYUNDAI IONIQ HYBRID	OO757FO	2020
HYUNDAI IONIQ HYBRID	OO828FO	2020
HYUNDAI IONIQ HYBRID	OO747FO	2020
HYUNDAI IONIQ HYBRID	OO858FO	2020
HYUNDAI IONIQ HYBRID	OO848FO	2020
HYUNDAI IONIQ HYBRID	OO727FO	2020

აკაკი მაისურაძე

დავით გიორგობიანი